ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 28.12.22

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 012/22

შეკითხვა:

იქნება თუ არა ადვოკატის ქცევა ეთიკის ნორმებთან შესაბამისი, თუკი მოლაპარაკების შედეგად კლიენტისათვის გადასაცემი თანხა, კლიენტის თანხმობით, თავდაპირველად საადვოკატო ბიუროს სახელზე გახსნილ ანგარიშზე ჩაირიცხება და შემდგომი ნაწილი გადაეცემა კლიენტს, როგორც მორიგების შედეგად მიღებული თანხა, ხოლო ნაწილი ადვოკატს, როგორც გაწეული მომსახურეობის საზღაური.

ანალიზი:

ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13)

ადვოკატი ვალდებულია კლიენტის მიერ მინდობილი თანხა, საკუთარი, პირადი სახსრებისგან განცალკევებით აღრიცხოს... ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესები ადვოკატს ავალდებულებს, განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდოს კლიენტის მიერ გადაცემულ ფულად სახსრებს (მინდობილ ხარჯებს) და არ განათავსოს მინდობილი თანხები პირად ფულად სახსრებთან ერთად (რეკომენდაცია 010/19).

აღნიშნული ნორმის მიზანია, კლიენტისა და ადვოკატის პირადი სახსრები ისე განთავსდეს, რომ გამიჯვნადი იყოს და ადვოკატმა პირადი მიზნებისთვის, ნებით თუ უნებლიედ, არ გამოიყენოს კლიენტის კუთვნილი ფულადი სახსრები. საადვოკატო ბიუროს სახელზე შექმნილი ანგარიში არ წარმოადგენს ადვოკატის პირად ანგარიშს და იგულისხმება, რომ გამოიყენება საადვოკატო ბიურის საქმიანობისათვის. თავის მხრივ ის ფაქტი, რომ თანხის ნაწილი ადვოკატისთის გადასაცემ ჰონორარსაც მოიცავს, არ ართულებს მის გამოცალკევებას კლიენტისათის გადასაცემი თანხიდან.

დასკვნა:

კითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური გარემოებით, თუ მორიგების შედეგად შეთანხმებული თანხა, რომელიც მოიცავს ადვოკატის ჰონორარსაც, განთავსდება საადვოკატო ბიუროს ანგარიშზე, ამით არ დაირღვევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ის ნორმა რომელიც მოითხოვს

კლიენტის სახსრების, ადვოკატის პირადი სახსრებისგან განცალკევებულად შენახვას და შესაბამისად ადვოკატის ქმედება შესაბამისი იქნება პროფესიულ ეთიკასთან.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.